განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ციფრული ჰუმანიტარია
დოქტორანტურა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10. 01. 22

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21. 01. 22

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ციფრული ჰუმანიტარია** **Digital Humanities**
უმაღლესი განათლების საფეხური	III (დოქტორანტურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორი PhD of Digital Humanities
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0288 ინტერდისციპლინური – მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს 0288 Inter-disciplinary – involving arts and humanities
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	---
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული N 22, 2018 წლის 31 იანვარი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაალ კიკვიძე, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯახველაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (სტუდენტი)

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა შემუშავდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავდა სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების ხელშეწყობას. ამდენად, პროგრამა აკრედიტაციის მიღების შემდეგ, იმპლემენტაციის პროცესში უზრუნველყოფილი იყო აუცილებელი ფინანსური და, შესაბამისად, მატერიალური რესურსებით. პროგრამის წარმატებით განხორციელებაზე პოზიტიური გავლენა იქონია აგრეთვე უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტებმა, ილიაუნის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის მიერ 2010 წლიდან დღემდე განხორციელებულმა ციფრული ჰუმანიტარიის სამეცნიერო-კვლევითი პროექტებმა, ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით დაფუძნებული საერთაშორისო სადოქტორო სკოლის საქმიანობამ და ბოლო პერიოდში დაფუძნებულმა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრმა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამა აკრედიტაციის მიღებიდან დღემდე არის ციფრული ჰუმანიტარიის ერთადერთი სადოქტორო პროგრამა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის მთელ რეგიონში და შესაძლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაშიც. ციფრული ჰუმანიტარია არის თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მოთხოვნადი მიმართულება, ხოლო საქართველოს აქვს მდიდარი და მრავალმხრივი, მსოფლიო მასშტაბით ღირებული ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული, ლინგვისტური და კულტურული მემკვიდრეობა. აქედან გამომდინარე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა მნიშვნელოვანი და აქტუალურია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცისთვის, რადგან მის ფარგლებში ჩატარებულმა კვლევებმა შეიძლება წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ ქართული მეცნიერების განვითარების პროცესში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 10 იანვარს, კოვიდ19-ის პანდემიის შეზღუდვებიდან გამომდინარე, ონლაინ ფორმატში, ელექტრონული პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით. ვიზიტში მონაწილეობდნენ:

- ირინე დარჩია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;
- ზაალ კიკვიძე, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ნინო ჯახველაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი).

ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები და ინტერვიუები შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან: ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ვიცე-რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემსრულებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკის დირექტორის მრჩეველი), სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის მოქმედი სტუდენტი, ამავე უნივერსიტეტის მონათესავე პროგრამების კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. გარდა ამისა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ონლაინ ფორმატში დაათვალიერეს ელექტრონული საინფორმაციო რესურსები.

ექსპერტებს გამოყოფილი ჰქონდათ დრო მიღებული ინფორმაციის გასააზრებლად, საბოლოო შეთავაზებების შესამუშავებლად. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები და რჩევები. ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის ყველა სტანდარტს, რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა არ მომხდარა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აკრედიტაციის ექსპერტებისთვის უზრუნველყვეს ეფექტიანი სამუშაო გარემო, ამომწურავი და დამაჯერებელი პასუხები გასცეს ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც დაისვა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრის მიერ. ვიზიტის დროს დადასტურდა ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტე. აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო სადოქტორო პროგრამის ის ძლიერი მხარეები, რომლებიც თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არ იყო წარმოჩენილი. დასკვნის პროექტს გაეგზავნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და მას რაიმე სახის შენიშვნა არ გამოუთქვამს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტს:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა;

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა;
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.

- **რეკომენდაციები**

  შეფასების პროცესში არ მომხდარა რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია არის ჰუმანიტარული მეცნიერებების აქტუალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვინაიდან არსებობს მზარდი მოთხოვნა შრომის ბაზარზე და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ილიაუნი არის აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ერთადერთი პროვაიდერი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, სასურველია, მოხდეს რესურსების ინტენსიფიკაცია და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დოქტორანტების რაოდენობის ეტაპობრივი და თანმიმდევრული ზრდა (რა თქმა უნდა, სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებით);
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ილიაუნის მდიდარი და სწრაფად განვითარებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასურველია, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნან ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას და უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას სხვა დოქტორანტებთან და საუნივერსიტეტო აკადემიურ საზოგადოებასთან;
- სასურველია, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით მომზადებული თვითშეფასების ანგარიში უფრო მეტად მოერგოს კონკრეტული პროგრამის შინაარსსა და სპეციფიკას, უფრო დეტალურად და რელიეფურად წარმოაჩინოს პროგრამის თავისებურებები და ძლიერი მხარეები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის კონცეფცია დას მისი განხორციელების თავისებურებები არსებითად ითვალისწინებს ევროპის წამყვანი სადოქტორო სკოლების პრაქტიკას და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით მომზადებულ ზალცბურგის პრინციპებს;
- პროგრამა აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ, რაც არც თუ ხშირად გვხვდება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში;
- პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონტაქტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრულველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად, გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების, აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით;

- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან წარმოაჩინა საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო, სიახლეებისადმი გახსნილობა და გუნდურობა, რაც სამომავლოდ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის მიღების შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა აკრედიტაციის ექსპერტების სამივე რჩევა, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის ზრდასა და რე-აკრედიტაციისთვის მზადებას. კერძოდ, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს დაინტერესებულ მხარეებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას. პროგრამის განვითარებაზე პოზიტიური გავლენა იქონია თანამშრომლობამ ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთარგმნელობით ბიუროსთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტთან და სხვ.
  - გარდა ამისა, მოხდა დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი და პროგრამის კვლევით მიმართულებებს დაემატა ელექტრონული ლექსიკოგრაფია, რამაც არსებითად გააძლიერა პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.
  - აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის, პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სფეროს შემდგომი განვითარებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის შექმნა მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი, დაიწყო თანამშრომლობა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებასთან მონაცემთა ცენტრის/Data Center ფარგლებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციაზე, ისევე როგორც სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ გასაუბრებებზე დაყრდნობით, დგინდება, რომ თავისი მიზნებითა და შინაარსით, აგრეთვე გამოყენებითი ასპექტებითა და ინტერნაციონალიზაციით სადოქტორო პროგრამა „ციფრული ჰუმანიტარია“ სრულად შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მისიასა და სტრატეგიას, რაც ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გამოყენებას გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროგრამის მიზნები ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და რეალისტურად. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია როგორც დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი, ისე ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებით არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება, ის საჭიროებები, რომლებიც არსებობს საქართველოს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემაში, შრომისა და განათლების ბაზრის ვითარება. ციფრული ჰუმანიტარიის სპეციალისტებზე თანდათანობით იზრდება მოთხოვნა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომით ბაზარზე; ამ დროს კი ამგვარი სადოქტორო პროგრამა არ ფუნქციონირებს არც საქართველოს, არც კავკასიის რომელიმე ქვეყანაში. ციფრული ჰუმანიტარია არის მსოფლიოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, სწრაფად განვითარებადი და მოთხოვნადი ინტერდისციპლინური სფერო, რომლის პრობლემატიკა ძალიან მრავალფეროვანია, რის გამოც ხშირად რთულდება ამა თუ იმ პრიორიტეტის გამოკვეთა და მასზე კონცენტრირება. ცნობილია ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა: არ ხდება არსებული რესურსების და საჭიროებების ადეკვატური შესწავლა და მის საფუძველზე პრიორიტეტების იდენტიფიცირება. ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა ამ მხრივ გამონაკლისია. აღსანიშნავია პროგრამის ავტორების, მისი განმახორციელებელი პირების სწორი სტრატეგიული ხედვა პროგრამის მთელი კონცეფციის ფორმირების პროცესში. პროგრამაში გამოკვეთილია ოთხი პრიორიტეტული მიმართულება: ციფრული ეპიგრაფიკა, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერება, ციფრული პროსოპოგრაფია, ელექტრონული ლექსიკოგრაფია, რომელთა ფარგლებში მოხდება დღემდე არარსებული ქართულენოვანი და არაქარ-

თულენოვანი რესურსების შექმნა და საქართველოში დაცული კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე წარმოდგენა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა, მატერიალური რესურსების გაცნობამ და პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა ნათელყო, რომ პროგრამაში ფორმულირებული მიზნები სავსებით მიღწევადია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების, აგრეთვე არსებული საერთაშორისო კონტაქტების გამოყენებით. ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე და, ამდენად, მისი მიზნები (სხვა მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საკითხებთან ერთად) საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები (სხვა მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საკითხებთან ერთად) გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission; ▪ ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, დოქტორანტთან; ▪ https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/programebi-303/sadoqtoro-599
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი) და სილაბუსები მოწმობს, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შესაბამის, მერვე დონეს და მის აღმწერებს (ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კრიტერიუმების შესაბამისად), ისევე როგორც ციფრული ჰუმანიტარიის დოქტორის მისანიჭებელ კვალიფიკაციას/აკადემიურ ხარისხს. სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია როგორც შესაბამისი მიმართულებებით სიღრმისეული ცოდნის გადაცემა, ისე ახალი ცოდნის შექმნისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის ასპექტები, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, სისტემური და ინტერპერსონალური უნარების გამომუშავება. საგანგებო ადგილი ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების კომპეტენციასაც.

სწავლის შედეგები არის ფორმულირებული კონკრეტული დარგის საჭიროებების შესაბამისად, შრომის ბაზრისა და დასაქმების სფეროსთვის არსებითი მოთხოვნების გათვალისწინებით. სწავლის შედეგები იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მექანიკურად არ იმეორებს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ფორმულირებებს, რის შედეგადაც შესაძლებელია თითოეული მათგანის გაზომვა შეფასების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოყვანილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია, ისევე როგორც გამოყოფილი დრო და დასამუშავებელი მასალა ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ, ისევე როგორც ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების განსაზღვრისა და განვითარების მექანიზმი, რომელიც მოიცავს აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. აღსანიშნავია, აკრედიტაციის ექსპერტების რჩევის კვალობაზე, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს დაინტერესებულ მხარეებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობას. პროგრამის განვითარებაზე პოზიტიური გავლენა იქონია თანამშრომლობამ ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთარგმნელობით ბიუროსთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტთან და სხვ.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებგვერდით და იმ ინტენსიური კომუნიკაციით, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს აქვს პოტენციურ და მოქმედ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამას შემუშავებული და დანერგილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების წესი, რომლის მიზანია:

1. დადგინდეს რამდენად არის მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები და რამდენად პასუხობს ის სტუდენტებისა და პოტენციური დამსაქმებლების საჭიროებებსა და მოთხოვნებს;

2. დადგინდეს პროგრამის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენციები პროგრამის განვითარებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში განხორციელებული კონცეპტუალური და ტექნიკური ცვლილებების ნაწილი სწორედ სწავლის შედეგების გაზომვის შედეგად მიღებულმა შედეგებმა განაპირობა, რაც ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება გონივრულ ვადაში, დარგის თავისებურებების და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა საგანგებოდ ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულების გამოყენებით, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით (სტუდენტების პროგრესი სასწავლო და კვლევითი მიმართულებით, სტუდენტების კოლოკვიუმების შედეგები და პუბლიკაციები, სტუდენტების, დამსაქმებლების, სამეცნიერო ხელმძღვანელების ფოკუს ჯგუფები, უცხოელი კოლეგების მიერ კოლეგიალური შეფასება და სხვ.).

ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად (საუნივერსიტეტო რეგულაციების გაცნობა, მიმოწერა, სამუშაო და საკონსულტაციო შეხვედრები და სხვ.), პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს და ეფექტიანად იყენებს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. ცალკეულ შემთხვევებში სწავლის შედეგების შეფასება ხდება კოლეგიალურად, ერთზე მეტი შემფასებლის მიერ (მაგალითად, დოქტორანტის კოლოკვიუმი, სადისერტაციო ნაშრომი და სხვ.). სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სისტემურად აქვთ კომუნიკაცია და უკუკავშირი როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელთან, ისე ე.წ. დარგობრივ საბჭოსთან და სხვადასხვა სასწავლო კურსის განმახორციელებელ ლექტორთან, რათა მუდმივად იყონ ინფორმირებული იმ პროგრესზე, რაც სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში აქვთ.

აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტის შეფასებისას დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ მოხდა პროგრამის შინაარსის და სხვა კონცეპტუალური საკითხების მოდიფიკაცია-გაუმჯობესება სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით შეფასების და ანალიზის შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ▪ პროგრამის განვითარებაზე პოზიტიური გავლენა იქონია თანამშრომლობამ ბავშვთა განვითარების ინსტიტუტთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს მთარგმნელობით ბიუროსთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტთან და სხვ.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროგრამაზე მიღება რამდენიმე ეტაპისგან შედგება: რეგისტრაცია, გამოცდა ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის ცოდნა შეიძლება დადასტურდეს საერთაშორისო აღიარების მქონე სერტიფიკატით, ან ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით), სადოქტორო კვლევითი განაცხადის განხილვა და ზეპირი გამოცდა დარგობრივ კომისიასთან. პროგრამაზე მიღე-

ბის ამგვარი სისტემა სრულად შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის „გახსნა“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერი აპლიკანტისთვის განპირობებულია ციფრული ჰუმანიტარიის, როგორც დარგის, მკვეთრად ინტერდისციპლინური ხასიათით და შრომის ბაზრის საჭიროებებით: შრომის ბაზარს სჭირდება ციფრული ჰუმანიტარიის სხვადასხვა ტიპის, ასე ვთქვათ, „ფართოპროფილური“ სპეციალისტები, რომელთა ნაწილს ექნება მხოლოდ ჰუმანიტარული განათლება, ხოლო ნაწილს საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა მომიჯნავე თუ არამომიჯნავე დისციპლინების ცოდნა. პროგრამის ასეთი „გახსნილობა“ შეიძლება აჩენდეს კითხვას, რამდენად ექნებათ სხვადასხვა დარგის მაგისტრებს ის საწყისი ცოდნა და უნარები, რომლებიც ციფრული ჰუმანიტარიის სწავლის შედეგების მისაღწევად არის საჭირო, თუმცა აღნიშნულ რისკს ანეიტრალებს პროგრამის კონცეფცია, მისი სტრუქტურა და შინაარსი. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში მიიღონ სპეციფიკური ცოდნა და გამოიმუშავონ შესაბამისი უნარები მაგისტრატურის საფეხურის სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში (ე.წ. remedial course), რომელსაც კრედიტების მინიჭების გარეშე გაივლიან, რისი პრეცედენტებიც დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში არსებობს.

დეტალური ინფორმაცია ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამაზე მიღების პირობების და კრიტერიუმების შესახებ მოცემულია დოკუმენტში „სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა“. მიღების შესახებ ინფორმაცია კონკურსის გამოცხადებამდე თავსდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.iliauni.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ით-

ვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველ-ყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისო-ბაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, საუნივერსიტეტო რეგულაციების და პროგრამის აღწერილო-ბის ანალიზმა, ისევე როგორც დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განახლება და მოდიფიკაცია განხორ-ციელდა შემდეგი დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლი-ლების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“. სწავლის შედეგების ანალიზის დროს უკვე აღინიშნა, რომ პროგრამა შინაარსობრივად აბსოლუტურად შეესაბამება დოქ-ტორანტურის საფეხურს, ანუ კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მერვე დონეს, ციფრუ-ლი ჰუმანიტარიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს. პროგრამის მოცულობაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისია. კერძოდ, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო სწავლება შეიძლება გაგრძელდეს 6-10 სემესტრი, დოქტორანტის კვლე-ვითი პრობლემატიკის სპეციფიკიდან და კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. სასწავლო კომპონენტში კრედიტები განაწილებულია სტუდენტის დატვირთვის შესაბამი-სად და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მესამე ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაან-გარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამის აღწერილობასა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულა-ციებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესა-ხებ. ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით.

როგორც კურიკულუმისა და სილაბუსების ანალიზმა წარმოაჩინა, ციფრული ჰუმანიტარი-ის სადოქტორო პროგრამა თავისი შინაარსით მაქსიმალურად ითვალისწინებს შესაბამისი პროფილის უახლესი კვლევების შედეგებსა და დარგობრივ მიღწევებს, ხოლო თავისი სტრუქტურით პროგრამა დაბალანსებულია. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტე-ბი წარმოდგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც გულისხმობს ცოდნის გადაცემას მარტივიდან რთულის მიმართულებით, თუმცა იმავდროულად სტუდენტს აძლევს საშუა-ლებას, რომ მისი საკვლევი თემატიკის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და უზრუნველყოს თავისი სადისერტაციო ნაშრომის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.

მაგალითად, სწავლება იწყება სადოქტორო სემინარით, სწავლებისა და შეფასების სტრატე-გიების, აგრეთვე კვლევის მეთოდების სასწავლო კურსებით, რითიც დოქტორანტს უმუშავ-დება საბაზისო პედაგოგიური და კვლევითი უნარები, რაც ღრმავდება სადოქტორო კო-ლოკვიუმების ფარგლებში და საბოლოო შედეგს აღწევს პუბლიკაციით საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში და დისერტაციის დაცვით. სწავლების ასისტირების დაწყებამდე, დოქტორანტმა უნდა გაიაროს სწავლებისა და შეფასების სტრატეგიების კურსი და TSDC-ის ცენტრის სწავლებისა და შეფასების მეთოდების მინიმუმ ერთი ტრენინგ კურსი. კვლევის ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კომ-

პონენტების ისეთ არჩევითობას, რომელიც დოქტორანტებს ეხმარება ცალკეული დარგობრივი მიმართულებით ცოდნის შეძენასა თუ გაღრმავებაში, პედაგოგიური უნარების გამომუშავებაში და დაგეგმილი კვლევის წარმატებით განხორციელებაში, რისი შედეგიც ახალი ცოდნის და მისი შესაბამისი პრაქტიკული ინსტრუმენტების შექმნაა. მაგალითად, დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა გააკეთოს არჩევანი კომპიუტერული ენათმეცნიერების, კორპუსის ენათმეცნიერების, ელექტრონული ლექსიკოგრაფიის, ციფრული ეპიგრაფიკის, პროსოპოგრაფიის კვლევის მეთოდებს შორის. არჩევით კომპონენტში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი. სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს ასისტირების 6 კრედიტი და დარგობრივი სემინარი ან ორი დარგობრივი სემინარი სხვადასხვა სემესტრში ან მხოლოდ სხვა მიმართულების კვლევის მეთოდების კურსი ან მხოლოდ ასისტირების 12 კრედიტი.

აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტის შეფასებისას დეტალურად არის აღწერილი ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განახლებისა და მოდიფიკაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებლების, უცხოელი კოლეგების) ჩართულობის პროცესი.

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიური კომუნიკაციით მოქმედ და პოტენციურ სტუდენტებთან.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის კონცეფცია დას მისი განხორციელების თავისებურებები არსებითად ითვალისწინებს ევროპის წამყვანი სადოქტორო სკოლების პრაქტიკას და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით მომზადებულ ზალცბურგის პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის კონცეფცია დას მისი განხორციელების თავისებურებები არსებითად ითვალისწინებს ევროპის წამყვანი სადოქტორო სკოლების პრაქტიკას და ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს ეგიდით მომზადებულ ზალცბურგის პრინციპებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობისა და სილაბუსების შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი კომპონენტების სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს, ანუ კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მერვე დონეს, ეფუძნება პროგრამის შედეგების კონცეპტუალურ ჩარჩოს და მასთან სრულ შესაბამისობაშია. სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის გაცილებით უფრო დეტალიზებული, დაკონკრეტებული და კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი. იმავდროულად სასწავლო კომპონენტის შინაარსი სრულად შეესაბამება დაგეგმილ სწავლის შედეგებს, რომელიც მიღწევადი და გაზომვადია შესაბამის სილაბუსებში მოყვანილი შეფასების სისტემის გამოყენებით. საგანგებოდ უნდა გამოიყოს სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების პრინციპი, რომელიც არსებითად განსხვავდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე დამკვიდრებული პრაქტიკისგან. სასწავლო კურსების აბსოლუტური უმრავლესობა - მათი შინაარსიდან, დაგეგმილი სწავლის შედეგებიდან გამომდინარე და სტუდენტის მიერ დასამუშავებელი მასალის სირთულიდან და მოცულობიდან გამომდინარე - ითვალისწინებს შედარებით მცირე რაოდენობით საკონტაქტო საათებს და გაცილებით მეტი დრო ეთმობა დოქტორანტის დამოუკიდებელ მუშაობას. მაგალითად, სასწავლო კურსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება ამგვარია: 54/246, 56/244, 64/236. სილაბუსებში მოყვანილი როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი სასწავლო მასალა - უახლესი სამეცნიერო კვლევები, მონოგრაფიები, სტატიები, ელექტრონული რესურსები - შეესაბამება შესაბამისი კომპონენტების მიზნებსა და სწავლის შედეგებს და ითვალისწინებს ციფრული ეპიგრაფიკის, კომპიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერების, ციფრული პროსოპოგრაფიის, ელექტრონული ლექსიკოგრაფიისა და სხვა მიმართულებების აქტუალურ მიღწევებს, რაც ქმნის კარგ წინაპირობებს შრომის ბაზრისთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მოსამზადებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში;

- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის არაერთი კომპონენტი, უკვე განხორციელებული თუ სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობა უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას და დოქტორანტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. კერძოდ, ესენია: სადოქტორო სემინარები, სადოქტორო კოლოკვიუმები, მეთოდური/მეთოდოლოგიური კურსები, სასწავლო კურსი „წერა აკადემიური პუბლიკაციისთვის“, სავალდებულო მოთხოვნა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში პუბლიკაციის გამოქვეყნების შესახებ და, რა თქმა უნდა, დისერტაციის წარდგენა და დაცვა.

დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა და ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრები, რომელთა ბაზაზე ხორციელდება ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა. აღნიშნული კვლევითი ცენტრების მიერ ბოლო პერიოდში განხორციელდა ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: საერთაშორისო სკოლა ციფრულ ეპიგრაფიკაში, კორპუსის ენათმეცნიერებაში, კონფერენცია სამხრეთ კავსიური ცარცის წრე, საერთაშორისო ვორკშოფი სინტაქსის თეორიებში და სხვ.

დოქტორანტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის ისეთი კომპომენტები, როგორიც არის ასისტირება, სწავლების და შეფასების სტრატეგიები და TSDC-ს ცენტრის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-მოდულები სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების გამომუშავებას ხელს უწყობს აგრეთვე სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული ლექსიკოგრაფიული, კორპუსული და, ზოგადად, ენობრივი რესურსების შექმნა ლექსიკოგრაფიის, კომ-

პიუტერული და კორპუსის ენათმეცნიერებისა და ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდების კომპლექსური გამოყენებითა და ინტერდისციპლინური მიდგომებით.

აღსანიშნავია, რომ როგორც პრაქტიკული, ისე ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებას არსებითად შეუწყო ხელი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულმა საერთაშორისო გაცვლითმა პროგრამებმა და დოქტორანტების მივლინებამ ლონდონის კინგს კოლეჯის, ოქსფორდის, ზიგენის და ლუვენის უნივერსიტეტებში, აგრეთვე კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის მიერ შეთავაზებულმა აქტივობებმა და სხვ.

დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავების პროცესს წარმართავენ პროგრამის განმახორციელებელი პირები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები (მათი კვალიფიკაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მეოთხე სტანდარტის შეფასებისას). საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია უცხოელი სპეციალისტების თანახელმძღვანელობაც.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის მიზნებისათვის უნივერსიტეტს საგანგებოდ აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან, შპს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან, რომელთა ფარგლებში განხორციელებული საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამები ასევე შეუწყობს ხელს პრაქტიკული, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- მემორანდუმები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, ლიტერატურის ინსტიტუტთან, გამომცემლობასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ლექცია და სემინარი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, დისკუსია; შემთხვევის ანალიზი, მოდელირება/სიმულაცია, ანალიზი და სინთეზი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, საველე მუშაობა, სუპერვიზია/ხელმძღვანელობა და სხვ. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ასევე გამოყენებულია სტუდენტების ინტენსიური დამოუკიდებელი მუშაობა და სწავლება კვლევით, თუმცა ეს პროგრამის აღწერილობაში აღნიშნული არ არის. სწავლებისა და სწავლის მეთოდების შერჩევა ხშირად ხდება სტუდენტების კვლევითი თემატიკის სპეციფიკის და მისი კონკრეტული, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს უცხოელი სტუდენტები და, შესაბამისად, ვერ მოხდება მათი საჭიროებების გათვალისწინება. სწავლებისა და სწავლის მეთოდებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ელექტრონული სწავლების მეთოდი, მოდელირება/სიმულაცია, საველე მუშაობა და სუპერვიზია/ხელმძღვანელობა, რომლებიც ზუსტად შეესაბამება როგორც დოქტორანტურის საფეხურს, ისე ციფრული ჰუმანიტარიის, როგორც ინტერდისციპლინური სფეროს, სწავლების სპეციფიკას. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის დროს, სხვადასხვა კომპონენტის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუს პროცესში დაისვა კითხვები აღნიშნული მეთოდების გამოყენების თავისებურებებთან დაკავშირებით და მიღებულ იქნა ამომწურავი პასუხები. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ლექტორები ერთხმად აღიარებენ დოქტორანტურის საფეხურზე ისეთი მიდგომის პრიორიტეტულობას, როგორიცაა სწავლება კვლევით, რაც უზრუნველყოფილია სადოქტორო სემინარებისა და კოლოკვიუმების ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა; ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დოქტორანტთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების სწავლებისა და კვლევის პროცესის შეფასებას არეგულირებს შემდეგი დოკუმენტები: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი“ და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“, რომლებიც ითვალისწინებს სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრებას. ორივე დოკუმენტი სრულად შეესაბამება საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მესამე ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით. პროგრამის დოქტორანტთან და მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, შეფასების ფორმები, მეთოდები და კომპონენტები გამჭვირვალეა და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის სილაბუსების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია შიდასაუნივერსიტეტო ონლაინ პლატფორმა „არგუსში“. რესპოდენტებისთვის ცნობილი იყო აგრეთვე შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, თუმცა მათ აღნიშნული ზომისთვის არასოდეს მიუმართავთ. მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში ლექტორებისგან იღებენ/იღებდნენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაუმჯობესების შესახებ. სისტემა ,,არგუსი“ არეგისტრირებს დოქტორანტის შეფასების მონაცემებს სემესტრის განმავლობაში, რითაც ასევე ხდება მისი დროული ინფორმირება აკადემიური მიღწევების შესახებ. ინფორმაცია სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ მოცემულია შესაბამის სილაბუსებში და, შეფასების მეთოდებიდან ძირითადად, გამოიყენება აქტიურობა, პრაქტიკული მუშაობა, წერითი ნაშრომი, პროექტი, რაც

სრულად შეესაბამება როგორც დოქტორანტურის საფეხურის, ისე ციფრული ჰუმანიტარიის ინტერდისციპლინური დარგის თავისებურებებსა და დაგეგმილ სწავლის შედეგებს.

როგორც ინტერვიუებმა წარმოაჩინა, სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების განმახორციელებლები და შემფასებლები, ისევე როგორც სამეცნიერო ხელმღვანელები და სადისერტაციო საბჭოს წევრები კარგად იცნობენ შეფასების თანამედროვე მეთოდებს და საჭიროების შემთხვევაში მათ კონსულტაციას უწევენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაცია მოცემულია აგრეთვე აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის შეფასებისას).

სადოქტორო სემინარების ფარგლებში შემუშავებული პროსპექტუსის, სადოქტორო კოლოკვიუმებისა და სადისერტაციო ნაშრომების შეფასება ხდება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, კერძოდ, შეფასების პროცესში მონაწილეობენ დოქტორანტის ხელმღვანელი/ები, მომიჯნავე დარგის სპეციალისტი/ები, რომელიც ჩართული არიან სადოქტორო პროგრამაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში შესაძლებელია გარე სპეციალისტის ჩართულობაც. დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას ახდენს სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

როგორც უკვე აღინიშნა, სადისერტაციო ნაშრომების დაცვის პროცესს არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, აგრეთვე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება, პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია, რომელთა თანახმადაც, დისერტაციის დაცვა ხდება კომისიური წესით, არის საჯარო და უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების ჩართულობა (მინიმუმ ერთი მოწვეული წევრის მონაწილეობა სავალდებულოა).

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატურად ხდება სწავლების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზაციის, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი ასევე იქნა გამოყენებული აღნიშნული პროგრამის განახლების პროცესში, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია მოცემულია აკრედიტაციის მეხუთე სტანდარტის შეფასებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დოქტორანტთან, კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისი სერვისების შეთავაზებით უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისები, რომლებიც უზრუნველყოფენ დოქტორანტების დროულ ინფორმირებას სადოქტორო პროგრამის სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ.

როგორც დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე, ვიზიტის დროს ნათლად ჩანდა, რომ სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას მიმდინარე ვაკანსიების, პროექტების, კონფერენციებისა თუ გაცლითი პროგრამების შესახებ. პროგრამაში ჩართული პირები ასევე უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციების, მიმდინარე სიახლეების თუ სხვა ფუნდამენტური საკითხების შესახებ.

უნივერსიტეტი დოქტორანტებისთვის ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა შესაძლებლობით სარგებლობს:

- ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება უსდ-სა და დოქტორანტს შორის, მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის პირობებისა და ვალდებულებების შესახებ.
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსის“ საშუალებით უზრუნველყოფილია ინტერაქცია სტუდენტსა და ლექტორს შორის, სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ ონლაინ კონსულტაცია ნებისმიერ ლექტორთან საინტერესო საკითხისა თუ კურსის შესახებ.
- აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კომუნიკაციისთვის აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტის ელფოსტაც, რომელიც მიბმულია მობილურ ტელეფონზე, ეს კი უფრო ამარტივებს ინფორმაციის სწრაფად გაზიარების შესაძლებლობებს. ცალკეულ შემთხვევებში ეფექტიანად გამოიყენება სოციალური ქსელებიც (მაგალითად, ფეისბუკის სპეციალური ჯგუფი).

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ ეფექტიანად ფუნქციონირებს შეფასების სისტემაც. სისტემა „არგუსში“ აისახება დოქტორანტის შეფასების მონაცემები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს დროული უკუკავშირი აკადემიური მიღწევების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში გამოყოფილია დრო შუალედური შეფასებების განხილვისთვის. პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. გარდა ამისა, ყველა სილაბუსში მითითებულია, რომ „დოქტორანტების კონსულტაციებისთვის განკუთვნილი დრო და აუდიტორია შეთანხმდება ლექტორთან ყოველი სემესტრის დასაწყისში და მათ ეცნობათ არგუსის საშუალებით“.

აკრედიტაციის ექსპერტებისთვის თვალსაჩინო იყო ჯანსაღი კომუნიკაცია ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. ინტერვიუების დროს წარმოჩნდა, რომ უპირატესობა ენიჭება გუნდურ და თანამშრომლობით ურთიერთობებს. სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის თანადგომას ყველა წამოწყებულ საქმეში, მათთან მარტივ და ოპერატიულ კომუნიკაციას. ხოლო ლექტორებმა კი აღნიშნეს, რომ ჯანსაღი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნაზე არიან ორიენტირებულნი, საკუთარ სიძლიერეს სწორედ ერთმანეთის დახმარებასა და ურთიერთთანამშრომლობაში ხედავენ. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან წარმოაჩინა საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო, სიახლეებისადმი გახსნილობა და გუნდურობა, რაც სამომავლოდ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრების ერთ-ერთ წინაპირობად და საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ.

რაც შეეხება დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებას,

დოქტორანტს შეუძლია სისტემა „არგუსისა“ და უსდ-ს ელექტრონულ ფოსტაზე შესული შეტყობინებებით გაეცნოს ყველა სიახლეს, გარდა ამისა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას ხშირად იღებენ საკუთარი ხელმძღვანელებისა თუ სხვა ლექტორებისაგანაც.

როგორც უკვე აღინიშნა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარლ-ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, ვორქშოფებში და ა.შ. გარდა ამისა, დოქტორანტებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ და მათ აქვთ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ პროცესებში. ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მივლინებული იყვნენ ლონდონის კინგს კოლეჯის, ოქსფორდის, ზიგენის და ლუვენის უნივერსიტეტებში.

ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული და შინაარსობრივ ნაწილში სწორედ მათ აქვთ წამყვანი ფუნქციები, ხოლო ადმინისტრაცია მეტ ყურადღებას უთმობს ფორმალური მხარის მოწესრიგებას და პროგრამის ეფექტიანად ფუნქციონირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ასისტირების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/
- საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ჩამონათვალი: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: „არგუსი“ – www.argus.iliauni.edu.ge
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დოქტორანტთან და მომიჯნავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან წარმოაჩინა საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო, სიახლეებისადმი გახსნილობა და გუნდურობა, რაც სამომავლოდ უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება) საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტის შეფასებისას). როგორც დოქტორანტსა და მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ პროფესიონალი და კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც ექნება საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ ერთზე მეტი ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, „რომელიც მოწვეული იქნება სხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის, აკადემიური დაწესებულებიდან საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ან დარგობრივი კომისიის გადაწყვეტილებით. პროგრამაში ჩართული უცხოელი ექსპერტები დოქტორანტებს გაუწევენ თანახელმძღვანელობას და დაეხმარებიან მათ კვლევის საკუთარ უნივერსიტეტებსა თუ საქართველოში განხორციელებაში“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 33). დოქტორანტების ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი ასახულია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში (მუხლი 9), ხოლო ინტერვიუების დროს კი დადგინდა, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ხდება აღნიშნული რეგულაციის თანმიმდევრულად შესრულება. დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები ხელმძღვანელისგან ყოველკვირეული ინდივიდუალური გრაფიკით, რაც აისახება სისტემა „არგუსის“ ელექტრონულ ბაზაში. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოქტორანტების სისტემატური და ეფექტიანი კომუნიკაცია თავიანთ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, რომლებიც მუდმივად ცდილობენ დაეხმარონ არა მხოლოდ კონცეპტუალური ხასიათის რჩევებით, არამედ საკვლევი თემისთვის საჭირო რესურსების მოძიების პროცესშიც. სტუდენტების თქმით, ხელმძღვანელები მათ ეხმარებიან კვლევასთან დაკავშირებულ ბევრ სხვადასხვა საკითხში (მაგალითად, დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება და სხვ.). დოქტორანტმა და

მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მათი სტატიები გამოქვეყნებულია საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში. აკრედიტაციის ექსპერტების აზრით, სამეცნიერო ხელმძღვანელობის ეფექტიანად წარმართვას ხელი შეუწყო საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ფარგლებში აკადემიური პერსონალისთვის შეთავაზებულმა შესაბამისი პროფილის ტრენინგებმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; ▪ სადისერტაციო ნაშრომის კონცეფცია; ▪ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტსა და მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობის და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მათ აქვთ განხორციელებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების შესაბამისი განათლება, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი, აგრეთვე პროფესიული გამოცდილება. გარდა ამისა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ შესაბამისი პროფილის ნაშრომები: მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში, სხვადასხვა პროფილის ლექსიკონები და სხვ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომლითაც ხდება დოქტორანტობის კანდიდატის კვლევითი პროექტის წინასწარი შეთანხმება პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელთან და მისგან ხელმძღვანელობაზე თანხმობის მიღება, რაც ხელს უწყობს პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების უზრუნველყოფას კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელობით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული ლექტორები, რომლებიც განეკუთვნებიან ქართველი მკვლევარების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომლებსაც აქვთ ღირებული პროფესიული გამოცდილება ციფრული ჰუმანიტარიის სფეროში.

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები ბოლო ხუთ წელიწადში: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 62, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 33, ადგილობრივ კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 38, საერთაშორისო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები - 99 და სხვ.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის განახლება ხდება სემესტრულად და მასში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის აქტივობები.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პირი, მათგან 11 აკადემიური პერსონალია, ხოლო 2 - მოწვეული. ისინი წარმართავენ 7 დოქტორანტის სასწავლო და კვლევით კომპონენტებს (აკრედიტაციის ვიზიტის დროს მათგან მხოლოდ 3-ს ჰქონდა აქტიური სტუდენტის სტატუსი). საუნივერსიტეტო რეგულაციებით

მკაცრად არის შეზღუდული იმ დოქტორანტების რაოდენობა, რომელთა ხელმძღვანელობა შეუძლია აკადემიურ პერსონალს (არა უმეტეს სამი, აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტი). ძირითადი და მოწვეული პერსონალის, ისევე როგორც დოქტორანტების არსებული თანაფარდობა და პერსონალის დენადობა არის კარგი წინაპირობა ხარისხიანი განათლებისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა ტიპის ეფექტიანი კონსულტაციით, რის შესახებაც დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია აკრედიტაციის მესამე სტანდარტის შეფასებისას.

ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია არის ჰუმანიტარული მეცნიერებების აქტუალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვინაიდან არსებობს მზარდი მოთხოვნა შრომის ბაზარზე და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ილიაუნი არის აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ერთადერთი პროვაიდერი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, სასურველია, მოხდეს ადამიანური და მატერიალური რესურსების ინტენსიფიკაცია და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დოქტორანტების რაოდენობის ეტაპობრივი და თანმიმდევრული ზრდა (რა თქმა უნდა, სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებით).

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს როგორც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დარგობრივი, პროფესიული ცოდნა, ისე მრავალწლიანი ადმინისტრაციული გამოცდილება და აქტიური საერთაშორისო კონტაქტები, რაც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას როგორც აკადემიური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. ციფრულ ჰუმანიტარიასთან მიმართებით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი ნინო დობორჯგინიძე არის საქართველოში განხორციელებული და საერთაშორისო სამეცნიერო პორტალებზე განთავსებული ელექტრონული კორპუსების ერთ-ერთი შემქმნელი. ნინო დობორჯგინიძეს ქართული ენის კორპუსის, ქართული მთარგმნელობითი კორპუსის შედგენის პრინციპებისა და ზოგადად, ციფრული ჰუმანიტარიის ცალკეულ საკითხებზე წაკითხული და დაბეჭდილი აქვს არაერთი მოხსენება ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე. ინტერვიუებმა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და დოქტორანტთან ცხადყო, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან აქტიური თანამშრომლობით კოორდინირებას უწევს პროგრამის შეფასება-განვითარებას, მონაწილეობს სტუდენტების კონსულტირების პროცესში და პროგრამის ეგიდით განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაცია. კერძოდ, დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კურიკულუმის ექსპერტები, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები და სხვ. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით.

როგორც დოქტორანტისა და მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულების, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინტერვიუებიდან დადგინდა, სასწავლო პროცესი ეფექტურად იმართება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ მეშვეობით, რომლის გამართულ მუშაობაზეც პასუხისმგებელია ტექნოლოგიების დეპარტამენტი. გარ-

და ამისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს უწევს დროულ, კვალიფიციურ და ეფექტურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ პროგრამა აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ, რაც არც თუ ხშირად გვხვდება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები; ▪ სტუდენტებთან და პერსონალთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლები; ▪ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები; ▪ სერვისების შეფასების ანგარიში - ლექტორები; ▪ პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, დოქტორანტთან, მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია არის ჰუმანიტარული მეცნიერებების აქტუალიზაციისა და მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ვინაიდან არსებობს მზარდი მოთხოვნა შრომის ბაზარზე და აგრეთვე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ილიაუნი არის აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ერთადერთი პროვაიდერი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით, სასურველია, მოხდეს ადამიანური და მატერიალური რესურსების ინტენსიფიკაცია და უნივერსიტეტმა უზრუნველყოს დოქტორანტების რაოდენობის ეტაპობრივი და თანმიმდევრული ზრდა (რა თქმა უნდა, სწავლებისა და კვლევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნებით).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ პროგრამა აერთიანებს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელთა საქმიანობა მხარდაჭერილია მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ, რაც არც თუ ხშირად გვხვდება საქართველოს უმაღლესი განათლების სივრცეში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მოქმედებს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას და მისი შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურებისთვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება როგორც სტუდენტების გამოკითხვით, ისე თავად პერსონალის თვითშეფასების კითხვარით, რომელიც გულისხმობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სხვადასხვა კომპონენტების ქულობრივ შეფასებას, რაც მათ ეხმარება პროფესიული განვითარების სხვადასხვა ასპექტების უკეთ გააზრებასა და შემდგომ წინსვლაში (ქულების რაოდენობის ცვლილება ხდება პერიოდულად, აკადემიურ პერსონალთან კომუნიკაციისა და კონსულტაციის შედეგად). აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ბოლო დროს (კვლევითი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე) შეიცვალა შეფასების პერიოდულობა, ხოლო შეფასების შედეგების პრეზენტაცია და განხილვა ხდება ხოლმე სხვადასხვა სახის ღია თუ დახურულ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. „კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა სწავლებაში ჩართული უნივერსიტეტის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS+ პროექტის PRINTeL მხარდაჭერით“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 38). აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების ინტერვიუებითა და პირადი საქმეებით, რომელთა ნაწილს მონაწილეობა აქვს მიღებული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეულ პერსონალის სხვადასხვა სახის (მატერიალური, ფინანსური და სხვ.) მხარდაჭერას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს: ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს აქტივობები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, ინსტიტუციური განვითა-

რების გრანტები, განვითარების სამსახური დაფინანსების წყაროების საიდენტიფიკაციოდ და მოსაზიდად, აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობები და სხვ. როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი არის მაღალი და პერსონალი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონტაქტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ▪ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ▪ განვითარების სამსახურის დებულება; ▪ სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება; ▪ აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის დებულება; ▪ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი; ▪ კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი; ▪ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ▪ სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში; ▪ მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევის ანგარიში; ▪ ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, დოქტორანტთან, მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ პროგრამის ფარგლებში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეფექტიანად იყენებს არსებულ საერთაშორისო კონტაქტებს შესაბამისი პროფილის წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია მისი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც მოიცავს სააუდიტორიო ფონდს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საინფორმაციო კომპიუტერულ ცენტრს, სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელ „არგუსს", პლაგიატის დეტექტიის პლატფორმა Turnitin-ს, ელექტრონული სწავლების პორტალს/E-learning და სხვ. სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს აგრეთვე: უნივერსიტეტის მულტიმედია ბიბლიოთეკა, ბოლო წლების განმავლობაში უნივერსიტეტში შექმნილი მონაცემთა ბაზები პროსოპოგრაფიის, ეპიგრაფიკისა და კორპუსის ენათმეცნიერების მიმართულებით, ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი, უნილაბი, პროსოპოგრაფიული ბაზა, ეპიგრაფიკული კორპუსი, ქართული ენის კორპუსი და სხვ. რესურსები, ლემან ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლა და სხვ.

გარდა ამისა, აკრედიტაციის მიღების შემდეგ მოხდა დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი და პროგრამის კვლევით მიმართულებებს დაემატა ელექტრონული ლექსიკოგრაფია, რამაც არსებითად გააძლიერა პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით (ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამას დაემატა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის ბიბლიოთეკა, ცენტრის მიერ შექმნილი ლექსიკონები და კორპუსები).

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის, პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სფეროს შემდგომი განვითარებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის შექმნა მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი, დაიწყო თანამშრომლობა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებასთან მონაცემთა ცენტრის/Data Center ფარგლებში.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც სილაბუსების სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული უახლესი და თანამედროვე სავალდებულო ლიტერატურა, ისე დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი პროფილის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო ბაზებზე: Clarivate Analytics, ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Cambridge Journals, Taylor and Francis, Sage Publishing და სხვ. ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში, რუსთაველის ფონდის გრანტის ფარგლებში, შეძენილ იქნა უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული რესურსები. აღსანიშნავია აგრეთვე TRADOS-ის 2014 წლის ვერსიის შეძენა, რომელიც განხორციელდა უნივერსიტეტის დაფინანსებით და TLEX-ის შეძენაც "იდიომური გამოთქმების ონ-ლაინ ლექსიკონის" პროექტის ფარგლებში.

გარდა ამისა, აკრედიტაციის მიღების შემდეგ მოხდა დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა

და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი და პროგრამის კვლევით მიმართულებებს დაემატა ელექტრონული ლექსიკოგრაფია, რამაც არსებითად გააძლიერა პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის, პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სფეროს შემდგომი განვითარებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის შექმნა მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი, დაიწყო თანამშრომლობა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებასთან მონაცემთა ცენტრის/Data Center ფარგლებში.

პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დოქტორანტთან და მონათესავე სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზემოთ აღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ისე პროფესორებისა და მოწვეული ლექტორებისთვის და ყველა მხარე არა მხოლოდ იცნობს მათი გამოყენების შესაძლებლობებსა და მოხმარების წესებს, არამედ აქტიურად იყენებს კიდეც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ილიაუნის მდიდარი და სწრაფად განვითარებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასურველია, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები მომავალში უზრუნველყოფილ იქნან ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას და უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას სხვა დოქტორანტებთან და საუნივერსიტეტო აკადემიურ საზოგადოებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/; ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/;
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები; ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის დებულება; ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის საქმიანობა: http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/institutebi-451/lingvistur-kvlevata-centri-467

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ილიაუნის მდიდარი და სწრაფად განვითარებადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასურველია, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნან ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებით, რაც ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას და უზრუნველყოფს უფრო ინტენსიურ კომუნიკაციას სხვა დოქტორანტებთან და საუნივერსიტეტო აკადემიურ საზოგადოებასთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მოხდა დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრი და პროგრამის კვლევით მიმართულებებს დაემატა ელექტრონული ლექსიკოგრაფია, რამაც არსებითად გააძლიერა პროგრამა მატერიალური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.
- ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ინტერდისციპლინურობის, პროგრამის შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად და სფეროს შემდგომი განვითარებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის შექმნა მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი, დაიწყო თანამშრომლობა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებასთან მონაცემთა ცენტრის/Data Center ფარგლებში.

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღინიშნა, ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტის რეკვიზიტები: DP 2016_23). აღნიშნული გრანტის ფარგლებში მოხდა საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა, ჩატარდა კვლევითი საველე სამუშაოები, დამატებით შეძენილ იქნება უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და ელექტრონული პროგრამები. გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის უზრუნველყოფისთვის საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსები და პროგრამის სამომავლო ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტში. პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების კვლევით სტიპენდიებსაც.

ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელება ეკონომიკურად მიღწევადია, ვინაიდან უნივერისიტეტი საკუთარი ბიუჯეტითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროგრამის გრძელვადიან მხარდაჭერას, კერძოდ:

პროგრამის სასწავლო პროცესს სრულად უზრუნველყოფს ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა სახელფასო ხარჯი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში და კონკრეტული სადოქტორო პროგრამა დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს.

უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის

დაფინანსების წესი, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის. პროგრამა ხორციელდება ლიგვისტურ კვლევათა ცენტრის, ასევე ენის ტექნოლოგიებისა და ლექსიკოგრაფიის ცენტრის ბაზაზე. პროგრამის სასწავლო და კვლევითი პროექტების ციფრული მხარდაჭერის და მონაცემთა ბაზებით უზრუნველყოფის ხარჯი გაწერილია ლექსიოგრაფიისა და ლიგვისტურ კვლევათა ცენტრების ბიუჯეტებში. პროგრამის სასწავლო და კვლევითი პროექტების ციფრული მხარდაჭერის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლა-შენახვისთვის საჭირო ხარჯი ფინანსდება როგორც უნივერსიტეტის ცენტრალური და საფაკულტეტო ბიუჯეტიდან, ასევე პერიოდულად, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების ბიუჯეტებიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ▪ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის მართვის, მათ შორის პროგრამების შემუშავების, განხორციელების და შეფასების პროცესების წარმართვას, ხელშეწყობას და კონტროლს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (ცენტრალური ოფისი) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილ ხარისხის უზრულველყოფის სამსახურებს, რომლებიც მოქმედებენ ერთიანი საუნივერსიტეტო ხარისხის მართვის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად და ასრულებენ უშუალოდ მათთვის განსაზღრულ ფუნქციებს, რაც გულისხმობს უფლებამოსილებების დელეგირებას, უკუკავშირს და გუნდური მუშაობის პრინციპს და უზრუნველყოფენ ყველა მიმდინარე პროცესის ოპტიმალურად წარმართვას. ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის თანახმად, ყოველწლიურად იქმნება როგორც სამუშაო, ისე შეფასებების გეგმები, მათი შესრულება და შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშებში. უნივერსიტეტში პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესის ძირითად მომწესრიგებელ დოკუმენტებს მიეკუთვნება:

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ - აღწერს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტს, მოიცავს სისტემური კვლევების რუკას, სისტემური კვლევების დროის ჩარჩოს, პროგრამებთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების, უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების და უნივერსიტეტის კვლევის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების რუკებს.
- „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ - არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა, პროგრამის გაუქმება და სხვ. დოკუმენტის თანახმად, პროგრამის შემუშავებისას უნდა იყოს გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნები/უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები/გარე პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგები (უკუკავშირი)/დარგის სპეციფიკა/საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები. პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს უნივერსიტეტში დადგენილ პროგრამის შეფასების კრიტერიუმებს და უნდა ფასდებოდეს შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამტკიცების/დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ).
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“ - ადგენს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განხორციელების შეფასების გარე და შიდა მექანიზ-

მებს. დოკუმენტის თანახმად, გარე შეფასების მექანიზმებს მიეკუთვნება ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შედეგები, ხოლო შიდა მექანიზმებს - პროგრამის შინაარსის ანალიზი და რევიზია დარგში უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით; საზოგადოების და შრომის ბაზრის ცვალებადი საჭიროებების ანალიზი, სხვადასხვა რაოდენობრივი მაჩვენებლების (მაგ., სტუდენტების აკადემიური მოსწრება, პროგრამის დასრულება, პროგრამიდან განთესვა და სხვ.) ანალიზი, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესების ეფექტიანობის შეფასება, სასწავლო გარემოს, რესურსებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების შესაბამისობის შეფასება და სხვ. ამავე დოკუმენტით განისაზღვრება შიდა შეფასების ინსტრუმენტები და მეთოდები (მაგ., სტუდენტთა გამოკითხვა პროგრამით/პროგრამის კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა პროგრამით კმაყოფილებისა და დასაქმების შესახებ; დამსაქმებლებისა და პარტნიორების ფოკუს-ჯგუფი/ინტერვიუ/გამოკითხვა პროგრამისა და მისი კურსდამთავრებულების შესახებ, სხვ.). მიღებული შედეგები აისახება პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშში. ანგარიშს განიხილავს ფაკულტეტის/სკოლის საბჭო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ.

თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრეს პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესზე, გამოწვევებზე და მიგნებებზე, განმარტეს და დაასაბუთეს პროგრამასთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები, შეაფასეს პროგრამის ძლიერი მხარეები და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობები.

წარმოდგენილ დოკუმენტებზე და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

- უნივერსიტეტში პროგრამის განხორციელების და შეფასების პროცესები არის რელევანტური მარეგულირებელი დოკუმენტებით მოწესრიგებული და გამჭვირვალე. წინასწარ განსაზღვრულია შესაფასებელი ასპექტები, შეფასების მექანიზმების და ინსტრუმენტები, შეფასების პერიოდულობა და ამ პროცესში მონაწილე სუბიექტები, გადაწყვეტილების მიღების წესი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები.
- უზრუნველყოფილია ერთგვაროვანი მიდგომა და მოთხოვნები პროგრამის აღწერილობისა და სილაბუსებისადმი - შეშემუშავებულია და გამოიყენება პროგრამის აღწერილობისა და სილაბუსების სარეკომენდაციო უნიფიცირებული ფორმები, სადაც დეტალურადაა ახსნილი მოთხოვნები ამ დოკუმენტების თითოეულ რუბრიკასთან დაკავშირებით.
- წარმოდგენილი დოკუმენტებიდან იკვეთება: 1) პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობა (შემუშავებულია ერთიანი რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობას); 2) პროგრამის შედეგების ფორმირების თავისებურებები (შემუშავებულია რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის თითოეული კომპონენტის მონაწილეობას კონკრეტული შედეგის ფორმირებაში, რაც მთლიანობაში ქმნის პროგრამის შედეგებისა და კომპონენტების ურთიერთკავშირის მკაფიო სურათს); 3) პროგრამის ათვისების დინამიკის კონტროლის შესაძლებლობა (შემუშავებულია სამიზნე ნიშნულების ცხრილი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევისთვის დადგენილი თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების, მათი მიღწევის/დადასტურების ფორმებისა და პერიოდის შესახებ).
- პროგრამის შეფასების პროცესი თანამშრომლობითი და კომპლექსურია: თვითეფასების

პროცესში პროგრამისთვის მნიშვნელოვან/საკვანძო საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღებოდა განხილვის შედეგად, კოლეგიალურად, რამაც უზრუნველყო ამ პროცესში თითოეული მონაწილის მაღალი ჩართულობა და გუნდური მუშაობა. ▪ შიდა შეფასების გარდა, განხორციელდა გარე შეფასება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უცხოელი ექსპერტის მიერ. ასევე, განხორციელდა დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების, საერთაშორისო გამოცდილებისა და დარგის არსებული საჭიროებების შესწავლა, იყო იდენტიფიცირებული პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით ცვლილებების საჭიროება. აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის ჭრილში დადგინდა პროგრამის როგორც ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ისე მათ განსავითარებლად საჭირო აქტივობები. აღნიშნული შემდგომ აისახა აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ თვითშეფასების პროცესის მხარდაჭერა: ინტერვიუს დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები და პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიურ თანამშრომლობას ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, ჩართულობას პროგრამის საჭიროებების შესწავლაში, პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებაში, კომპეტენტურ და დროულ კონსულტაციებს და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“; ▪ „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“; ▪ „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“; ▪ „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“; ▪ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“; ▪ „პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი“; ▪ პროგრამის შედეგების რუკა; სამიზნე ნიშნულების რუკა; პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის რუკა (დმატებით წარმოდგენილი); ▪ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები (#1-4); ▪ დაინტერესებული მხარეების (დოქორანტების, პროგრამის განმახორციელებლების, დოქტორანტების ხელმძღვანელების, პოტენციური დამსაქმებლების) დამოკიდებულებების კვლევა; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან, დოქტორანტებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ---
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ---
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ცენტრალური ოფისის) და თითოეულ ფაკულტეტზე შექმნილი ხარისხის უზრულველყოფის სამსახურების მოქმედება ერთიანი საუნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მიდგომების შესაბამისად, გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა უფლებამოსილებების სწორი დელეგირების, აქტიური თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაყრდნობით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების ერთ-ერთ ფორმად უნივერსიტეტში მიიჩნევა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან (#22, 31.01.2018) და აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნიდან ირკვევა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ დაფიქსირებულა. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, გაიცა 3 რჩევა: 1) სასურველია, თვითშეფასების ანგარიში უფრო დეტალურად ასახავდეს პროგრამის განვითარების რეალურად არსებულ პერსპექტივებს, ხოლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უფრო სისტემური და თანმიმდევრული სახე მისცეს გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას და მეტად გაითვალისწინოს მათი მოთხოვნები პროგრამის განვითარების პროცესში; 2) სასურველია დასაქმების ბაზრის უკეთ შესწავლა და სადოქტორო პროგრამის საკვლევი თემატიკის ეტაპობრივი გაფართოება კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით; 3) ვინაიდან ციფრული ჰუმანიტარია ახალი, იმავდროულად ინტერდისციპლინური და სპეციფიკური სფეროა, მისი წარმატებით განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიან და სტაბილურ ტექნიკურ მხარდაჭერას. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შედეგების მდგრადობა და სფეროს შემდგომი განვითარება, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შექმნას სამეცნიერო-კვლევითი რგოლისთვის მდგრადი ტექნოლოგიური მხარდაჭერის მექანიზმი. მიუხედავად გაცემული რჩევების არასავალდებულო ხასიათისა, აღსანიშნავია, რომ სამივე რჩევა არის გაზიარებული და დღეისათვის უკვე შესრულებულია.

ასევე, გარე შეფასების მიზნით პროგრამის აღწერილობა გადაეცა ორ უცხოელ ექსპერტს (Professor of Multicultural Education, New Jersey City University, Jersey City, New Jersey, USA; Professor of Universität Göttingen), რომლებმაც დეტალურად განიხილეს და დადებითად შეაფასეს პროგრამა, რაზეც მეტყველებს უკუკავშირის წერილები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2017 წელს განხორციელებული პროგრამის გარე შეფასება; საგანმანათებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (#22, 31.01.2018);
- პროგრამის გარე შეფასება (უცხოელი ექსპერტების უკუკავშირის წერილები);
- პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ---
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ---
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ციფრული ჰუმანიტარიის“ დოქტორანტურის პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წელს. შესაბამისად, 2018-2021 პერიოდში გამოყენებულ იქნა შეფასების ის მექანიზმები, რომლებიც ამ პერიოდისთვის იყო რელევანტური (მაგ., დოქტორანტების დამოკიდებულებების შესწავლა; დაკვირვება მათ საქმიანობაზე სასწავლო კომპონენტის და ინდივიდუალური კვლევის გეგმების შესრულების შესწავლის მეშვეობით; პროგრამის განხორციელების პროცესზე დაკვირვება; პროგრამის განმახორციელებლების, დოქტორანტების ხელმძღვანელების და დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა და სხვ.). აქვე აღსანიშნავია, რომ 2018-2021 წლის პერიოდში ვერ იქნებოდა გამოყენებული ცალკეული არაპირდარი და პირდაპირი შეფასების მეთოდები, რაც განპირობებულია ობიექტური გარემოებებით (მაგ., კურსდამთავრებულთა არარსებობა, პროგრამის შედეგებისთვის დაგეგმილ სამიზნე ნიშნულებთან დადარების შეუძლებლობა და ა.შ.). პროგრამის შიდა შეფასების თაობაზე შეიძლება აღინიშნოს, რომ, უნივერსიტეტში მოქმედი წესებიდან გამომდინარე, პროგრამის პერიოდული შეფასება არის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და სისტემატური პროცესი, რომლის მარეგულირებელი დოკუმენტები ადგენენ შეფასების ასპექტებს, მექანიზმებს, ინსტრუმენტებს და პერიოდულობას. სისტემური კვლევების/შეფასებების მეთოდები ქმნიან პროგრამის, სერვისების, რესურსების და სხვ. შეფასების კომპლექსურ სისტემას, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს მონაცემებზე და დინამიკაზე დაკვირვების, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და გაუმჯობესებაზე მიმართული ქმედებების დაგეგმვის შესაძლებლობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია პროგრამის ათვისების (შედეგების მიღწევის) დადგენა-შეფასება. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში ამ მიზნით გამოიყენება, მაგალითად, დოქტორანტების მიერ შესრულებული კოლოქვიუმების ხარისხი, დაცული დისერტაციების რაოდენობა და ხარისხი. პროგრამისთვის დადგენილ სამიზნე ნიშნულებსა და მიღწეულ შედეგებს შორის სხვაობა წარმოადგენს აღნიშნულის გამომ-

წვევი მიზეზის დადგენისა და გარკვეული ღონისძიებების (მაგ., პროგრამაში ცვლილებები, მომდევნო პერიოდისთვის კორექტირებული სამიზნე ნიშნულების დადგენა და სხვ.) განხორციელების საფუძველს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასების ციკლი მოცემულია პროგრამის შეფასების ვადებში.

პროგრამის განმახორციელებლების განმარტებით, უნივერსიტეტში შეფასება კომპლექსური, გამჭვირვალე და სისტემატური პროცესია. გამოიყენება მკაფიო ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები. დანერგილია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის როგორც ინდივიდუალური, ისე კოლეგიალური შეფასების მექანიზმები. პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს უკუკავშირი შეფასების შედეგებთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში შეფასების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების კვლევა:

- დოქტორანტები - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 2021 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილებამ ჩაატარა კვლევა, რომლის ფარგლებში დოქტორანტები აფასებდნენ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტს. დოქტორანტებმა გამოთქვეს მოსაზრებები პროგრამის თითოეული ეტაპის შესახებ, აღნიშნეს რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ სამომავლოდ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა დოქტორანტმა (სულ 7 დოქტორანტია), სამ დოქტორანტს უკვე დაცული აქვთ პროსპექტუსის კომპონენტი, ხოლო ერთი - პირველი სემესტრის დოქტორანტია. კვლევაში მონაწილე ოთხივე დოქტორანტი დასაქმებულია სპეციალობით, სამი დოქტორანტი თანამშრომლობს უნივერსიტეტთან როგორც საერთაშორისო პროექტების ფარგლებში, ისე სწავლების მიმართულებით. კვლევაში მონაწილე ყველა დოქტორანტი აღნიშნავს, რომ პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ძალიან ეხმარება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში. პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტთა ცოდნის დონესთან დაკავშირებით რესპოდენტებმა აღინიშნეს, რომ „მნიშვნელოვანი სხვაობა ამ მიმართულებით არ შეინიშნება, თუმცა სასურველია, რომ ჩარიცხულ სტუდენტებს შეძლებისდაგვარად თანაბარი თეორიული ცოდნა ჰქონდეთ“. ასევე, ერთ-ერთი მოსაზრება იყო: „ძალიან კარგი იქნებოდა, რომ რამდენიმე საგანი, უფრო ტექნიკური დამატებულიყო, რომლითაც შეეძლებოდა გარკვეული ტექნიკების სწავლა, გარკვეული პროგრამების ათვისება, რომელსაც შემდეგ გამოიყენებდა“. დოქტორანტები დადებითად ახასიათებენ უნივერსიტეტში არსებულ გარემოს და მოწესრიგებულ სისტემას, პროგრამას და მისი განხორციელების პროცესს, განსაკუთრებით დადებითად კი შეაფასეს ხელმძღვანელთან თანამშრომლობა.
- დოქტორანტების ხელმძღვანელები - კვლევა განხორციელდა 2021 წელს თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით (ფოკუს - ჯგუფი). კვლევაში მონაწილეობა მიიღო პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა, რომლებიც ამავე დროს დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან (სულ 3 ხელმძღვანელი). რესპონდენტებმა იმსჯელეს დარგის მნიშვნელობაზე, სადოქტორო პროგრამის და ხელმძღვანელობის პროცესზე. რესპონდენტთა აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური მიდგომა, გუნდური მუშაობა და სხვა დარგის წარმომადგენლების ჩართვა. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტები სფეროს სამომავლო მნიშვნელობაზე თანხმდებიან, გარკვეულ სირთულედ დოქტორანტთა დასაქმების საკითხი მიაჩნიათ. ასევე, რესპონდენტთა აზრით, გასაძლი-

ერებელია პროგრამის პოპულარიზაციის საკითხი და ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამას გახდეს უფრო მრავლისმომცველი. რესპოდენტები დადებითად აფასებენ პროგრამას, პროგრამის სასწავლო და კვლევის მეთოდების კომპონენტს. რესპოდენტები დადებითად აფასებენ თანამშრომლობის გაფართოების საკითხს ბრისტოლის უნივერსიტეტთან და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიასთან და აღნიშნავენ, რომ სასურველია პროგრამის პარტნიორები იყვნენ სხვადასხვა კვლევითი ცენტრები, სპეციალიზებული მონაცემთა ბაზების ცენტრები, კომპიუტერულ ლინგვისტიკის ცენტრები და ა.შ.

- დამსაქმებლები - კვლევა (ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუები) განხორციელდა 2021 წელს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთმა რესპონდენტმა, საიდანაც ორ დამსაქმებელს პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და დოქტორანტებთან ერთად მიმდინარე პროექტები აქვთ. ყველა რესპონდენტი აღნიშნავს პროგრამის მნიშვნელობას და ამ სფეროში კადრების საჭიროებას. რესპოდენტები დადებითად აფასებენ პროგრამას და აღნიშნავენ, რომ „სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე რესურსები მრავლისმომცველია და კარგად არის გაწერილი“. რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები დამაკმაყოფილებელია და არ საჭიროებს რაიმე სახის ცვლილებას, ხოლო ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით: „პროგრამაზე ჩაბარების მსურველს უმჯობესია ჰქონდეს ჰუმანიტარული განათლება“. რესპონდენტებმა იმსჯელეს იმ უნარებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია სადოქტორო საფეხურზე სწავლის ეტაპზე და გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭეს უცხო ენის ცოდნას, „რათა დოქტორანტები საერთაშორისო გამოცდილებების შესახებ მუდმივად იღებდნენ ინფორმაციას“. რესპოდენტებმა ცალსახად აღნიშნეს პროგრამის აქტუალობა და მნიშვნელობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია წარადგინოს კვლევის განაცხადი, რომელიც განიხილება დარგობრივი კომისიის მიერ, შემდგომ კი დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებაზე, რაც გამორიცხავს პროგრამაზე შესაბამისი უნარების არმქონე პირის ჩარიცხვას. გარდა ამისა, ყველა დოქტორანტი ახდენს სასწავლო საჭიროებების იდენტიფიცირებას და აქვს შესაძლებლობა შესაბამისი ცოდნის/უნარებს შეძენის მიზნით „თავისუფალი მსმენელის“ სტატუსით შეისწავლოს ნებისმიერი პროგრამის ის სასწავლო კურსი/კურსები, რომელიც/რომლებიც მას ესაჭიროება პროგრამის ათვისებისა და კვლევის განხორციელებისათვის (აღნიშნული ინტერვიუს დროს დაადასტურეს პროგრამის დოქტორანტმა და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებმა). ინტერვიუს დროს, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა განმარტეს, რომ იმსჯელეს ამ საკითხზე, შეისწავლეს საერთაშორისო გამოცდილება და გაიზიარეს პროგრამის გუნდის არგუმენტები. ეს პოზიცია, ასევე, გაზიარებულია დამსაქმებლების მიერ, რომლებმაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ არ მიაჩნიათ საჭიროდ რაიმე შეზღუდვის დაწესება, დოქტორანტის გეგმის სწორად ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელია პროგრამის ათვისება და შედეგის მიღწევა.

პროგრამის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად უნივერსიტეტში მიჩნეულია საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა. ამ საკითხზე ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრეს თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა. მათ აღნიშნეს, რომ

პროგრამის და მისი კომპონენტების განვითარება - მუდმივი პროცესია, პროგრამის გუნდის მიერ იყო შესწავლილი საერთაშორისო გამოცდილება - უცხოეთის უსდ-ების მიდგომები და დოქტორანტურის ანალოგიური პროგრამები და დიგიტალური ჰუმანიტარიის ევროპაში აღიარებული ცენტრების კვლევითი მიდგომები. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, პროგრამის გუნდმა ითანამშრომლა პარტნიორებთან - უცხოეთის უსდ-ების წარმომადგენლებთან, შეისწავლა სხვადასხვა პროგრამების კონცეფციები და საბოლოო ჯამში შეარჩია უცხოეთის იმ უსდ-ების პროგრამები, რომლებიც ყველაზე მეტად ემთხვევა პროგრამის ზოგად კონცეფციას, ლოკალური ბაზრის საჭიროებებს, ქვეყანაში დღეისათვის არსებული სპეციალისტების პროფესიულ გამოცდილებასა და კვლევით ინტერესებს. უცხოური ანალოგების შერჩევისას პროგრამის გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო კვლევითი ინტერესების თანხვედრა. ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად: „მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო კოლაბორაციებიდან, რომელშიც ჩვენი პროგრამის პროფესორები არიან ჩართულები, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ციფრული ჰუმანიტარიის რამდენიმე პროგრამაზე“, კერძოდ: კინგს კოლეჯის ლონდონის სადოქტორო პროგრამა, შვეიცარიის EPFL ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა, ინგლისის UCL მულტიდისციპლინარული უნივერსიტეტის პროგრამა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტების და დადარების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის გუნდმა სრულად გაიზიარა კინგს კოლეჯის პოზიცია, რომ ციფრული ჰუმანიტარიის პროგრამა აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ინტერდისციპლინურ მიდგომას და არ უნდა ზღუდავდეს სხვადასხვა კომპეტენციის სტუდენტების მიღებას. „ამ პრინციპით ლონდონის კინგს კოლეჯის ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულებაზე თავს იყრის არა მარტო ჰუმანიტარული დარგები“. ასევე გაზიარებულია სტუდენტებისთვის კრედიტების გარეშე ტრენინგ-მოდულის შეთავაზების მიდგომა. უცხოეთის პროგრამებთან დადარების დოკუმენტის თანახმად, ლონდონის კინგს კოლეჯის პროგრამა ემყარება ე.წ. სწავლებას კვლევით (Research-led teaching), რომელიც გულისხობს იმას, რომ სადოქტორო კვლევა არის ინსტიტუციაში უკვე არსებული, დაფინანსებული კვლევითი პროექტის ნაწილი და დოქტორანტები ამ კვლევით პროექტებში მიღებულ კვლევით გამოცდილებას ემყარებიან. ამავე პრინციპით მუშაობს „ციფრული ჰუმანიტარიის“ პროგრამის ყველა დოქტორანტი. ისინი არიან კოორდინატორები/ხელმძღვანელები უნივერსიტეტის, ადგილობრივი ან საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების და თავიანთ კვლევას ახორციელებენ ამ პროექტების ფარგლებში. ასევე, პროგრამის განვითარების პროცესში პროგრამის გუნდმა გამოიყენა როგორც საკუთარი და პარტნიორების, ისე ამ დარგში არსებული საერთაშორისო გამოცდილება, რაც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში. პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ, მათი აზრით, პროგრამა არის მაკავშირებელი წარსულსა და მომავალს შორის, პროგრამის ძლიერი მხარეა მისი აქტუალობა, სწრაფი განვითარების შესაძლებლობა და ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი, მათ შორისაა უცხოელ სპეციალისტებთან და ინსტიტუციებთან აქტიური თანამშრომლობა და კავშირი, რაც ხელს უწყობს თანამედროვე მიდგომების გაზიარებას და დანერგვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“;

- „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- დაინტერესებულ მხარეთა (დოქტორანტები; პროგრამის განმახორციელებლები; დოქტორანტების ხელმძღვანელები; პოტენციური დამსაქმებლები) კმაყოფილების კვლევა (ფოკუს-ჯგუფების ანალიზი, 2021);
- საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი ილიაუნის ციფრული ჰუმანიტარიის სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას (დამატებით წარმოდგენილი);
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჩვენებელი და სემესტრული ლექციების კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია;
- ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების პროტოკოლი;
- კანდიდატის/ლექტორის თვითშეფასების ფორმა;
- ლექციაზე/სემინარზე დაკვირვების შემდგომი შეხვედრის პროტოკოლი;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან, სამუშაო ჯგუფის წევრებთან, დოქტორანტთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

დამატებითი დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ციფრული ჰუმანიტარია, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ირინე დარჩია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თამარ გვიანიშვილი

ზაალ კიკვიძე

ნინო ჯახველაძე